




საია სოლიდარობას უცხადებს აქონდროპლაზიის დიაგნოზის
მქონე ბავშვების მშობლების მშვიდობიან პროტესტს საჭირო
მედიკამენტის დაფინანსების მოთხოვნით

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სოლიდარობას უცხადებს აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების მშობლების მშვიდობიან პროტესტს საჭირო მედიკამენტის დაფინანსების მოთხოვნით.

აქონდროპლაზიით დაავადებული ბავშვების მშობლებს უფლება აქვთ სხვადასხვა მექანიზმის, მათ შორის, მშვიდობიანი შეკრების გზით სახელმწიფოს მიერ საჭირო მედიკამენტების დაფინანსების გაჩიანურება/უარი გააპროტესტონ, რადგან საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა ჯეროვანი ჯანდაცვის სერვისის უზრუნველყოფა. ისევე, როგორც სოციალური სახელმწიფო პრიორიტეტს უნდა ანიჭებდეს თავისი მოსახლეობის,

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განსაკუთრებით კი მონყვლადი ჯგუფების, მათ შორის, ბავშვების კეთილდღეობასა და ძირითად საჭიროებებს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მთავრობამ უზრუნველყოს აუცილებელი მედიკამენტების ხელმისაწვდომობა განსაკუთრებული სამედიცინო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მათი ჯანმრთელობისა და ცხოვრების ხარისხზე.

მოვუწოდებთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს, მიიღოს ყველა ზომა აქონდროპლაზიის დიაგნოზის მქონე ბავშვების სამედიცინო მოთხოვნების ჯეროვანი დაკმაყოფილებისთვის.

მოვუწოდებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს: უზრუნველყოს საპოლიციო ღონისძიებების განხორციელება იმგვარად, რომ არ მოხდეს გაუმართლებელი ჩარევა ბავშვების თავისუფლებაში.